ვინც არ შრომობს, არც... იგებს!

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 20 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) - “დინამო” (მოსკოვი) 3:1 (0:0).

თბილისი: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, რეხვიაშვილი, ჭოხონელიძე, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, გავაშელი, გ. ნოდია, ლ. ნოდია (ილიადი).

მოსკოვი: იაშინი, შტაპოვი, რიაბოვი, ანიჩკინი, ზიკოვი, მასლოვი, კოზლოვი, სიომინი (დოლბონოსოვი), ავრუცკი, ლარინი (ეშტრეკოვი), ევრიუჟიხინი.

მსაჯი: ა. ივანოვი (ლენინგრადი).

მოსკოველთა მწვრთნელმა კ. ბესკოვმა დიდი რისკი გასწია, როცა თავისი გუნდის შემადგენლობას აკომპლექტებდა ამ მატჩისთვის. მან თავიდანვე 5 ფორვარდი გამოიყვანა მინდორზე (კოზლოვი, სიომინი, ავრუცკი, ლარინი, ევრიუჟიხინი). მიუმატეთ ამას 2 შემცვლელი - დოლბონოსოვი და ეშტრეკოვი და თქვენთვის ნათელი გახდება მწვრთნელის გეგმა: მას გამარჯვების მოპოვებაზე ჰქონდა აღებული გეზი. არა 1 ქულა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე მეტოქის მინდორზე გამოსვლისას, არამედ 2. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ ანდობდა თამაშს 7 თავდამსხმელს.

ძნელი სათქმელია, რით იყო ნაკარნახევი კ. ბესკოვის ეს გეგმა. ალბათ, იგი დაეყრდნო მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა შეხვედრების ისტორიას, მხედველობაში მიიღო თავისი გუნდის იოლი გამარჯვება პირველ წრეში (4:1) და თბილისელთა სუსტი თამაში წინა ტურში ბაქოს “ნეფტჩისთან”.

თბილისის “დინამოს” მწვრთნელს გ. ჩოხელს ამდენი თავდამსხმელი არ გამოუყვანია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ 7 ფორვარდი გუნდში არცაა, ამას გარდა, ეს არც იყო საჭირო, ვინაიდან ნახევარდაცვის ხაზის 2 მოთამაშე - ასათიანი და კუტივაძე ამ დღეს საიერიშო ფუნქციებს ასრულებდა და არა ეპიზოდურად, შემთხვევიდან შემთხვევამდე, არამედ სისტემატურად, ყოველ შესაძლებელ სიტუაციაში, რამაც სათანადო ეფექტიც გამოიღო. წინა მატჩისგან განსხვავებით გაძლიერდა თავდასხმის ხაზი, რომელსაც შეადგენდა ორივე ნოდია და მწყობრში დაბრუნებული გავაშელი.

გუნდების შემადგენლობები, ეს იყო საერთო ტაქტიკური ფონი, რომელიც განსაზღვრავდა ბრძოლის მსვლელობას, მაგრამ ბევრი რამ უნდა გადაეწყვიტა დეტალებს, მიცემული დავალებების შესრულებას ცალკეულ მოთამაშეთა მხრივ. მაგალითად, ამ გეგმაში დიდი როლი უნდა ეთამაშა ევრიუჟიხინ-ძოძუაშვილის წყვილის “დუელს”, ვინაიდან სტუმრებს თავიანთი ყველაზე სწრაფი და აგრესიული თავდამსხმელის მეშვეობით სურდათ მოეხდინათ მოწინააღმდეგის დაცვის დეზორგანიზაცია და შეტევის მთავარი პლაცდარმის შექმნა. ამ ჩანაფიქრიდან აბსოლუტურად არაფერი გამოვიდა, ვინაიდან ძოძუაშვილი თავის უშუალო “ოპონენტზე” ერთი თავით მაღლა აღმოჩნდა. ევრიუჟიხინმა არა თუ ვერ შექმნა მთავარი საიერიშო პუნქტი, იგი საერთოდ გამოთიშული აღმოჩნდა თამაშიდან. მაშინ მოსკოველებმა სცადეს ცენტრიდან ეცადათ კარის აღება (ავრუცკი, ლარინი, კოზლოვი). აქაც არაფერი გამოვიდა, ვინაიდან კანთელაძეს და ძოძუაშვილს თითქმის არ დაუშვიათ შეცდომა. მათ ხშირად ეხმარებოდნენ პეტრიაშვილი და

ჭოხონელიძე. მართალია, ავრუცკის ორჯერ მიეცა კარში დარტყმის საშუალება და მან ორივეჯერ კარგად ითამაშა, მაგრამ ურუშაძემ შეძლო ძნელი ბურთების აღება.

თამაშის ტემპი თავიდანვე მაღალი იყო. თბილისელები ნაკლებად ატარებდნენ ბურთს, მოქმედებდნენ სწრაფად, შეუჩერებლად, ხშირად მიმართავდნენ გრძელ გადაცემებს და თავდამსხმელებს რეგულარულად ჰქონდათ მხარდაჭერა უკანა ხაზების მოთამაშეთაგან. გავაშელი და ორივე ნოდია ზომიერად იყენებდნენ დრიბლინგს, არ აყოვნებდნენ გადაცემას, ხშირად ერთვოდნენ კომბინაციებში.

პირველ ტაიმში იაშინს რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა და დაცვასაც საკმარისად ჰქონდა სამუშაო. მიუხედავად თამაშის ასეთი მსვლელობისა, მოსკოველებმა შესვენების შემდეგ არ შეცვალეს სამოქმედო გეგმა, არ გააძლიერეს დაცვა და სათანადოდ დაისაჯნენ კიდეც. ჯერ 50-ე წუთზე ზუსტად დაარტყა ლ. ნოდიამ, ისე, რომ იაშინი უძლური იყო ეხსნა თავისი კარი, ხოლო 56-ე წუთზე ისევ ლევანმა იმარჯვა, რომელმაც ტემპში, შეუჩერებლად მიიღო კუტივაძის მიწოდება და ძელს ქვევით ძლიერად გაგზავნა ბურთი - 2:0.

გამარჯვების კონტურები უკვე რეალურ მოგებად იქცა. მოსკოველები აჩქარდნენ, დაკარგეს მთლიანობა და ინდივიდუალურ თამაშზე გადავიდნენ. ამას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო გარდატეხის შეტანა მატჩის მიმდინარეობაში, ხოლო, როცა მათ კარში მესამე გოლიც გავიდა, ბრძოლის შედეგი ყველაზე უფრო ურწმუნოთათვისაც ნათელი შეიქნა. ეს ასე მოხდა: 75-ე წუთზე ერთ-ერთმა მცველმა უხეიროდ მიაწოდა ბურთი იაშინს, მას მიუსწრო გავაშელმა და განთქმული მეკარე იძულებული იყო მესამედ დახრილიყო ბურთის ბადიდან გამოსატანად.

ერთადერთი საპასუხო გოლი მოსკოველებმა გაიტანეს 78-ე წუთზე. მასპინძელთა საჯარიმო მოედანზე წარმოებული ბრძოლისას ა. ივანოვმა წესის დარღვევა მიიჩნია და დანიშნა ერთობ პრობლემატური პენალტი. იგი ზუსტად შეასრულა მასლოვმა - 1:3.

ახლა რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, რომ ვინც არ შრომობს, იგი არც... იგებს. ისევ და ისევ გვახსენდება პირველი წრის მატჩი მოსკოვში, რომელიც ჩვენმა გუნდმა პირწმინდად წააგო. ძნელია რაიმე შორეული, თუნდაც მიახლოებითი პარალელი გაავლო თბილისელთა მაშინდელ და ახლანდელ თამაშს შორის. ეს ცა და მიწაა. თბილისის "დინამო" 20 სექტემბერს წარმოადგენდა მობილიზებულ, შეკრულ, მონოლითურ კოლექტივს, საუკეთესო საბრძოლო მექანიზმს, გუნდის ყოველ წევრი პირნათლად ასრულებდა ყველაფერს, რაც კი მას ევალა. პირველ წრეში ხომ გახსოვთ რაც იყო?...

ე.ი. საჭიროა ბრძოლა ძალების დაუზოგავად, ნამდვილი თავგანწირვით, საჭიროა შრომა, შრომა. ეს ძველთაძველი სპორტული ჭეშმარიტება კი ჩვენს ფეხბურთელებს ხანდახან ავიწყდებათ.

მოსკოვის "დინამოსთან" ჩატარებულმა მატჩმა ნათელჰყო, რომ საპრიზო ადგილის საკითხი თბილისელთათვის დღის წესრიგიდან არაა მოხსნილი. იშრომებ, გაიმარჯვებ კიდეც!

ბ. ქორქია.

"ლელო", 23 სექტემბერი, 1969 წ.